პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 212 (18754) ოთხშაბათი, 14 სექტემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

მაღალი ეფექტი

თბილისის საცვლების საწარმოო გაერთიანების კოლექტივი გულმოდგინედ იბრძვის გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. „გაერთიანების ხელმძღვანელობამ კავშირი დაამყარა ქ. გეორგიევსკის სავაჭრო ორგანიზაციებთან და წლეულს გაერთიანების მშრომელებმა 860 ათასი მანეთის პროდუქცია გაუგზავნეს რუს თანამოძმეებს.

საწარმოში საიუბილეოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა ნინა კორაშვილის ოცდაცამეტკაციანი ბრიგადა. ეს ბრიგადა ყველასგან გამოირჩევა შრომის დისციპლინის საუცხოო ორგანიზაციით, ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვით, პროდუქციის მაღალი ხარისხით. შეხმატკბილებულად შრომობენ მკერავები, საქმეს გულმოდგინედ ეკიდებიან და წარმატებებსაც აღწევენ. მათ რამდენიმე დღით ადრე შეასრულეს წლის განვლილი რვა თვის დავალება. ამ ბრიგადაში თითქმის ყველაზე პირველად ინერგება ახალი მოდელი. კარგა ხანია, რაც აქ ბრიგადულ მეთოდზე გადავიდნენ და ამას თავისი შედეგიც მოჰყვა.

ერთ ძალად გაერთიანდნენ სხვადასხვა პროფესიის მუშები და საქმეს გასაღები ადვილად მოუძებნეს, ამიტომაც არის, რომ აქ იოლად ითვისებენ სიახლეს და მათ მიერ გამოშვებული ნაწარმიც უზადოა.

„კომუნისტის“ კორ.

დაწინაურდა ტრანსპორტელთა ბრიგადა

სიღნაღი. (ხაკ. კორ.). წნორის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება (გენერალური დირექტორი — რ. კიკილაშვილი) ერთ-ერთი მრავალეროვანი კოლექტივია რაიონში. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მისმა კოლექტივმა რეზერვების გამოყენებით, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებით კარგ შედეგს მიაღწია.

სახელმწიფო გეგმისა და ვალდებულების პირნათლად შესრულებისათვის ავტოტრანსპორტელებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვეს.

შეჯიბრების ფლაგმანია „იკარუს-255“ მარკის ავტობუსების ბრიგადა, რომელსაც გამოცდილი მძღოლი შოთა პოპოვი ხელმძღვანელობს. ეს მრავალეროვანი, მეგობრული კოლექტივი საწარმოში გამოირჩევა საუცხოო საშემსრულებლო დისციპლინით, შრომის ნაყოფიერებით, მგზავრთა კულტურული მომსახურებით. ტრანსპორტელთა ამ ბრიგადამ გადაწყვიტა წლიური დავალება ათ თვეში შეასრულოს.

ინერგება გრანიტი

ტყიბული. (ხაკ. კორ.). აქაური გრანიტი უნიკალური საშენი მასალაა, რომელსაც ბადალი არ მოეპოვება მთელ რესპუბლიკაში. მისი გამოშვების გადიდებისათვის სახელოვნად იბრძვის კურსების გრანიტის ქარხნის კოლექტივი (დირექტორი — გ. გუმბერიძე). აქ არნახული აღმავლობა იგრძნობა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო შეჯიბრების დღეებში. კურსებელებმა მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოს საწარმოო დავალება 110 პროცენტით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით მომხმარებელს 106 ათასი მანეთის ნავთობი გაუგზავნეს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ხანებში აქ არაერთი ტექნიკური სიახლე დაინერგა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ფილების დამზადების ტექნოლოგიური პროცესები, რასაც კარგი შედეგი მოჰყვა. საკმარისია ითქვას, რომ წარმანდელ რვა თვესთან შედარებით პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპი 17.7 პროცენტით გაიზარდა. ეს მეგრანიტეთა დიდი გამარჯვებაა.

ამ დღეებში ქარხნის რკინიგზის სატვირთავი ჩიხიდან გავიდა მორიგი ეშელონი. მან რესპუბლიკის დედაქალაქის მშენებარე საიუბილეო ობიექტები — სასტუმრო „ივერიის“ მოედანი, მაღაზია „ბავშვთა სამყარო“ და რკინიგზის სადგური მოამარაგა დიდძალი გრანიტის ფილებით და სხვა სამშენებლო კონსტრუქციებით.

ახლა ქარხანაში დიდი ღონისძიებანი ხორციელდება ახალი პროდუქციის გამოშვების ასათვისებლად. უკვე ადგილზე მოიტანეს მძლავრი სამსხვრეველა და სხვა საჭირო დანადგარები. შენდება სრულიად ახალი საამქრო, რომელიც გრანიტის ქვის ნამსხვრევებისაგან წელიწადში გამოუშვებს 30 ათას ტონა ღორღს. ამდაგვარად ქარხანაში დაინერგება უნარჩენო ტექნოლოგიური პროცესი, რაც კიდევ უფრო რენტაბელურს გახდის კურსებელ მეგრანიტეთა შრომას.

ვ. ცირეკიძე.

136.500 ტონა უხეში და ნვნიანი საკვები

წითელწყაროს. (ხაკ. კორ.). გაზაფხულის პირველი დღეებიდანვე პირუტყვის საკვების დამკვრელურად დამზადების საქმეში ჩაებნენ დიდი თუ პატარა, კოლმეურნე თუ მოსამსახურე, მოსწავლე ახალგაზრდობა. კოლმეურნეობებს, ბრიგადებს შორის გაიმართა სოციალისტური შეჯიბრება დევიზით — ვინ უფრო მეტ და უკეთეს საკვებს დაამზადებს. შეჯიბრების ინიციატორია სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობა, რომელმაც გადაწყვიტა მაქსიმალურად გამოიყენოს ხელსაყრელი ამინდები და დააგროვოს პირუტყვის საკვების წლინახევრის მარაგი. უგანრიგო ბრიგადული იჯარის წესით მომუშავე ბრიგადამ, რომელსაც გამოცდილი მექანიზატორი გ. შარმაზანაშვილი უდგას სათავეში, დათქმული პირობა უკვე პირნათლად შეასრულა—დამზადა და ფერმებთან გადაზიდა 13.700 ტონა უხეში და წვნიანი საკვები.

ძვირფასი ყუათიანი საკვების — სენაჟის, აგრეთვე თივის, ნამჯის, სილოსის დამზადების დავალებანი ასევე პირნათლად შესრულეს ზემო ქედის, ქვემო ქედის, ოზანის კოლმეურნეობებმა.

რაიონის კოლმეურნეობებში დამზადებულია 136.500 ტონა უხეში და წვნიანი საკვები, მათ შორის 34.000 ტონა სენაჟი.

საკვების დამზადება გრძელდება. სულ რაიონში 177.000 ტონა უხეში და წვნიანი საკვები დამზადდება.

გეგმის გადამეტებით

ლენინგორი. („კომუნისტის“ ხაკ. კორ. გ. თედეევი) სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ არის გაშლილი რაიონში. დიდი მუშაობაა სასურსათო პროგრამის განსახორციელებლად. პირველი სასურველი სიტყვა თქვეს მეხილეებმა. მიმღები პუნქტებიც კარგად მოემზადნენ ხილის მისაღებად. რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ენერგიული შრომით, მოსავლის უდანაკარგოდ აღებით მოიპოვეს წარმატებები. გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსთვის კურკოვანი ხილის მიყიდვის წლიური გეგმა. 545 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 744 ტონა ხარისხოვანი ხილი.

ხილის დამზადება გრძელდება.

ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲣᲚᲘ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲝᲠᲘᲡ რაიონის ლარგვისის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმა ერთ-ერთი მოწინავეა მთელს რაიონში. აქ სიტყვის ხალხია — გადაჭარბებით ანალდებენ წველადობის, ნამატის მიღება-შენარჩუნების დავალებებს, არასოდეს ღალატობენ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს. ყოველივე ამაში კი მცირე როდი როლი და დამსახურება პარტიზანუფისა, რომელსაც ფერმის მწყემსი, ვეტერანი კომუნისტი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი რეზო მელთაური თავკაცობს. სულ ახლახან იგი კვლავ აირჩიეს პარტიული ჯგუფის ორგანიზატორად.

მარშან სოფელ მეწყურეში რ. მელთაურისა და ჯგუფის სხვა კომუნისტების პრინციპული მოთხოვნით ახალი საიალაღო სადგომი და საცხოვრებელი ააგეს, რამაც მნიშვნელოვნად გააადვილა მწყემსთა მუშაობა, გააუმჯობესა მათი შრომის, ცხოვრების პირობები. პარტიზანუფის წინადადებით ფორეთკარის ბოსელში დამონტაჟდა ნაკელის მექანიზებული გამტანი. ფერმის კომუნისტები ავრცელებენ პირუტყვისათვის სარეზერვო საძოვრების გამოყოფის ინიციატორები არიან.

ასეთი აქტიურად მოქმედი, კომუნისტთა ნამდვილად მებრძოლი ძირეული კოლექტივები კი თითზე ჩამოსათვლელი როდია. იმ აუარებელ კეთილ საქმეებში, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში კეთდება, ჩაქსოვილია ათასობით პარტიზანუფის ინიციატივიანი პრაქტიკული მოქმედება, საზრიანი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა.

რით არის ძლიერი პარტიული ჯგუფი? იმით, რომ იგი ყველაზე ახლოს არის ცხოვრებასთან, წარმოებასთან, ჩვენი კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან. ამ აქტიური რგოლებიდან სათავეს იღებს, მომდინარეობს სასარგებლო სიახლეები, მოწინავე გამოცდილება; პარტიული ჯგუფის წევრებმა ყველაზე უკეთ იციან ერთმანეთის ჭირიც და ლხინიც, ერთი სიტყვით, შრომითი კოლექტივის ყველა შუქ-ჩრდილი და მრავალი ნიუანსი.

ამჟამად პარტიულ ორგანიზაციათა ანგარიშგება-არჩევნების ახალი ეტაპია. ძირითადად დამთავრდა ეს კამპანია პარტიულ ჯგუფებში და უკვე დაიწყო იგი პირველადს პარტორგანიზაციებში. რა გვიჩვენა განვლილმა ეტაპმა? უწინარესად ის, რომ წინა წლებთან შედარებით კიდევ უფრო გაიზარდა პარტიზანუფების ავტორიტეტი, კომუნისტთა აქტიურობა, ცხოვრების ყველა მომწიფებული პრობლემის წარმატებით გადაწყვეტისათვის მათი დაინტერესება და მოსწრაფება. 1 სექტემბრამდე ჩატარებულ ჩვენი რესპუბლიკის სულ 9.834 პარტიული ჯგუფიდან 8.861 პარტიზანუფის საანგარიშო-საარჩევნო კრებებს აღრიცხვაზე მყოფ კომუნისტთა 98,8 პროცენტი დაესწრო, სოლო სიტყვით 56.271 გამოვიდა, ანუ 84,6 პროცენტი.

შედეგებმა ისიც გვიჩვენა, რომ ბევრგან, განსაკუთრებით მეცირეიცხოვან პარტიზანუფებში, აზრი გამოთქვა კრებების ყველა მონაწილემ.

აქტიურად, მაღალ დონეზე, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში წარიმართა საანგარიშო-საარჩევნო კრებები საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ საბჭარატო საამქროს საამქროს უბნის, სოხუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავის ფეხსაცმლის კომბინატის პირველი სამკერვალო საამქროს „ა“ ცვლის, გორის რაიონის ხელთუბნის კოლმეურნეობის № 5 ბრიგადის და მრავალ სხვა პარტიულ ჯგუფებში.

თბილისგვირაბმშენის № 34 მასტის ცვლის პარტიული ჯგუფის კრებაზე თვითკრიტიკულად ითქვა, რომ ინდივიდუალური მუშაობა პარტიზანუფის ვერ დგას სათანადო დონეზე. ნაწილობრივ ამის შედეგია, რომ მასტში ყოველდღე ერთიანი განწესით მუშაობის დაფერგება, ამითვე აიხსნება კადრების დენადობაც, ზოგიერთი მუშის უდისციპლინობა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან როდი შეძლეს წარმოჩინათ და გამოეკვეთათ მთავარი საბრძოლო ხაზები. ზოგან გამოსვლებს ამკაცრად ეტყობოდა მორიდებული ტონი, ზოგადი ხასიათის მსჯელობა, უშინაარსო კრიტიკა, პარადულობა.

რა თქმა უნდა, თითოეულ პარტიზანუფს თავისი კონკრეტული საზრუნავი და საბოქმედო უბანი აქვს. და კრებებზე სჯა-ბაასიც, ბუნებრივია, სპეციფიკის გათვალისწინებით მიმდინარეობდა. მაგრამ თითქმის ყველგან კომუნისტები გულსაფიცალად აღიარებდნენ იმ სერიოზულ ნაკლოვანებებს, განსაკუთრებით ფორმალიზმსა და ზედაპირულობას, რაც პარტიული კოლექტივების ყოველდღიურ იდეოლოგიურ მუშაობაში გვხვდება.

სიღნაღის რაიონის მაღაროს კოლმეურნეობის მევენახეობის მექანიზაციის პარტიზანუფის კომუნისტებმა გულისტკივილი გამოხატეს იმის გამო, რომ სატრაქტორო პარკი ან მინდვრად სამუშაო ადგილზე არავინ მოდის ლექცია-საუბრების ჩასატარებლად, აგიტატორები, პოლიტინფორმატორები და საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორები სათოფეზე არ გვეკარებიანო.

კრებებზე აღნიშნული ამ და სხვა მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად ახალარჩეულ პარტიზანუფორგანიზატორებთან ერთად უფრო კონკრეტულად უნდა იზრუნონ პირველადმა ორგანიზაციებმა, ზემდგომმა პარტიულმა კომიტეტებმა.

საერთოდ, პარტიული ჯგუფებისა და საამქრო ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გაჩაღებული კამათი პირველადი პარტორგანიზაციების კრებებზეც უნდა გაგრძელდეს, საჭიროა გულდასმით გაანალიზდეს პარტიის ყველაზე ძირეულ რგოლებში გამოთქმული კომუნისტთა შენიშვნები, სურვილები და წინადადებანი და მათ პრაქტიკულად დაუჭირონ მხარი.

პარტიის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებთან შექმნილია სპეციალური შტაბები, რომლებიც კონტროლს უწევენ, თუ როგორ ხორციელდება პრაქტიკულად პარტიული ჯგუფების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და წინადადებანი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ პარტიული ჯგუფის ბრძოლისუნარიანობა და აქტიური საქმიანობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ ხელმძღვანელობს მას. პარტიზანუფორგანიზატორის მთავარი ამოცანაა ერთ მეგობრულ, მებრძოლ კოლექტივად შეაკავშიროს კომუნისტები ბრიგადაში თუ უბანზე, განყოფილებაში თუ საამქროში, რომ თითოეულმა მათგანმა წარმატებით შეასრულოს საერთო, დიდი საქმის ნაწილი. წლეულს პარტიული ჯგუფების ხელმძღვანელთა არჩევას კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობით, პრინციპულად მიუდგნენ, გულდასმით განიხილეს ყოველი კანდიდატურა. მიღწეულია, რომ პარტიზანუფებს სათავეში ჩახდგომოდნენ მოწინავე, შრომისმოყვარე, ინიციატივიანი კომუნისტები. ამასთან ძირეული რგოლის წინამძღოლთა არჩევისას გათვალისწინებულია ქალთა რიცხვის ზრდა, ასაკი, ეროვნება და სხვა მონაცემები. მათ შორის არიან თბილისის საწარმოო გაერთიანების „ელექტროაპარატის“ ქარხანა ავტომატის სატვიფრო საამქროს წარჩინებული მუშა ვაჟა ქოჩიაშვილი, ცხინვალის ქიმკომბინატის მუშა, პარტიის რაიკომის წევრი და თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი ნორაილ არმაგანოვა, ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის ამწყობი ზვინკალი მიხეილ ვასტანგიძე, ქარხანა „სოხუმსელსაწყოს“ ელექტროფოტოგრაფიული აპარატების ამწყობი საამქროს მუშა გულნარა ბერიძე, ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანის“ მეიარაღე გიორგი ფუხავეი, ბორჯომის მინის ტარის ქარხნის სამანქანე-საღებავმელე საამქროს მანქანების გამწყობი ელეგრია ანთიძე და ბევრი სხვა, რომლებიც უკვე ენერგიულად შეუდგნენ პარტიზანუფორგანიზატორის როლს, მაგრამ საპატიო მოვალეობას.

მაგრამ, ბუნებრივია, კომუნისტთა კოლექტივების ხელმძღვანელობის ხელოვნება კაცს დაბადებიდან როდი დაჰყვება, ამასთან ბევრი პარტიზანუფორგი წელს პირველად არის არჩეული. სწორედ ამიტომ პარტიული კომიტეტების გადაუდებელი საზრუნავია, რომ მოაწყონ ამ მრავალრიცხოვანი პარტიული აქტივისტების კარგად მოფიქრებული, სისტემური სწავლება, ამასთან არ დაივიწყონ ადგილებზე მათი ცოცხალი ინსტრუქტაჟი.

პარტიის თბილისის ლენინის რაიკომმა პარტიზანუფებში საანგარიშო-საარჩევნო კრებების დამთავრებისთანავე მოაწყო სემინარი. მას წინ უძღოდა პარტიზანუფორგანიზატორთა სემინარები საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელში“, „ჩარხმშენებელსა“ და „ელექტროაპარატში“.

ახალი საანგარიშო პერიოდი, რომელიც პარტიზანუფებისათვის უკვე დაიწყო, მეტად პასუხსაგებია. ახლა მთავარი ის არის, რომ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა სულ უფრო მეტად გადავიტანოთ ძირეულ საწარმოო რგოლებში, სადაც უშუალოდ წყდება ჩვენი გეგმებისა და ვალდებულებების შესრულების ბედი. შენიშნონ ინიციატივა, მხარი დაუჭირონ ნოვატორს, მკაცრად მოპკითხონ ზარმაცსა და უდისციპლინოს, იბრძოლონ ყველა უბანზე მუშაობის ეფექტიანობისა და მაღალი ხარისხისათვის — აი თითოეული პარტიზანუფის მოვალეობა და ამოცანა!

საქართველოს ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

მეგობრობის დღესასწაული საყოველთაოა

ᲓᲦᲔᲗᲘ დღე ფართოვდება გეორგიევსკის რაიონის მშრომელთა ეკონომიკური და კულტურული კავშირურთიერთობა ქართველ კოლეგებთან. ტრადიციად იქცა სტავროპოლის მხარისა და საქართველოს საწარმოო კოლექტივებს შორის შეჯიბრება და გამოცდილების გაზიარება, კულტურის ოსტატთა შემოქმედებითი შეხვედრები. გეორგიევსკელები გულთბილად ხვდებიან ძვირფას სტუმრებს, აცნობენ მათ ქალაქის ისტორიულ ძეგლებს, ათვალიერებინებენ სახლს, სადაც 200 წლის წინათ ხელი მოაწერეს ტრაქტატს, ესაუბრებიან სტავროპოლის მხარის დღევანდელ მიღწევებზე.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: სამახსოვროემბლემიანი ეს ფაიფურის ვაზა სტავროპოლელებმა მიართვეს საქართველოს სს რესპუბლიკის დელეგაციას.

კ. ᲢᲐᲠᲣᲡᲝᲕᲐᲡ ფოტო. (საკდესის ფოტოკრონიკა).

დავაჩქაროთ ᲗᲕᲔᲗᲕ!

რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ცნობით, სეზონის დაწყებიდან 14 სექტემბრისათვის მოკრეფილია 476.016 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, შარშან ამავე პერიოდისათვის მოკრეფილი იყო 432.034 ტონა. თუმცა მეჩაიეობის რაიონებში ავდრიანი დღეები იყო, ორგანიზებული მეურნეობები წვიმამაც არ ანელებენ ნედლეულის დამზადების ტემპს. საჭიროა ყველგან დაჩქარდეს ფოთლის კრეფის ტემპი.

მახარაძის რაიონში 14 სექტემბრისათვის მოკრეფილია 86.566 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ზუგდიდის — 63.834 ტონა, ქობულეთის — 41.823 ტონა, გალის — 43.205 ტონა, ოჩამჩირის — 37.261 ტონა, წალენჯიხის—29.185 ტონა, ლანჩხუთის — 25.250 ტონა, ჩხოროწყუს — 23.214 ტონა, გეგეჭკორის — 22.090 ტონა, ხელვაჩაურის — 19.289 ტონა, ჩოხატაურის — 13.772 ტონა, წყალტუბოს — 11.127 ტონა, ცხაკაიას — 11.271 ტონა, ხობის — 9.977 ტონა, ტყიბულის — 10.611 ტონა, წულუკიძის — 8.685 ტონა, გუდაუთის — 7.072 ტონა, სამტრედიის — 3.047 ტონა, გულრიფშის — 2.555 ტონა, ჭიათურის — 1.345 ტონა, თერჯოლის — 1.311 ტონა, ქედის — 1.159 ტონა, ვანის — 960 ტონა, აბაშის — 727 ტონა, სოხუმის — 680 ტონა.

ᲕᲘᲜ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲔᲑᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚ ᲓᲠᲝᲨᲐᲡ?

გაზეთ „კომუნისტისა“ და საქართველოს სსრ სახოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დაწესებული გარდამავალი წითელი დროშისა და ფასიანი ნაჩუქრის მოპოვებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ზუგდიდის რაიონის ჯინაშარის კომკავშირის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე მეგონა მარღია) მეცხრე ბრიგადა, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობს ამბროსი ზარანდია.

ბრიგადამ მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის ვალდებულებით ნაკისრი 136 ტონის ნაცვლად 11 სექტემბრისათვის მოკრიფა და მრეწველობას გადასამუშავებლად ჩაბარა 150,5 ტონა ჩაის ფოთოლი, ნედლეულის 82 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მოკრეფილია 45 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი. ისიც აღსანიშნავია, რომ ბრიგადაში ჩაის საშუალო ბექტარობრივი მოსავლიანობა 15,5 ტონაა.

ბრიგადამ გადაწყვიტა სეზონის დამთავრებამდე დამატებით 20 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფოს.

არის წლიური ვალდებულება

ჩოხატაური. („კომუნისტის“ ხაკ. კორესპონდენტი). სოფელ ხიდისთავის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში თავი ისახელეს №3 ბრიგადის მეჩაიეებმა, რომლებმაც ამ დღეებში წლიური ვალდებულება შეასრულეს. 240 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და წარმოებას ჩააბარეს 255 ტონა ჩაის ფოთოლი — ვალდებულებაზე 6 ტონით მეტი.

ბრიგადის წევრებმა ც. სიხარულიძემ, ც. მელუამ, ლ. ცეხტრავამ, ნ. ბერიძემ, ნ. დუმბაძემ, ო. სიხარულიძემ დიდი ხანია გაანაღდეს წლიური ვალდებულებები, ახლა ვალდებულების გადამეტებით კრეფენ ფოთოლს.

ბრიგადის მეჩაიეებს გადაწყვეტილი აქვთ სეზონის ბოლოდე დამატებით სულ ცოტა 50 ტონა ფოთოლი მოკრიფონ.

535 ᲥᲝᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

გეგეჭკორის რაიონის მეჩაიეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი სეზონში მოკრიფონ და ქვეყანას მისცენ 25 ათასი ტონა ჩაი. რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ შრომობენ ვალდებულების განაღდებისათვის. სოფელ მუხურჩის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ფ. მიქავა, მთავარი აგრონომი შ. რუსია) მკრეფავებმა რაიონში პირველმა უპატაკეს სამშობლოს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური ვალდებულების შესრულება. ვალდებულებით ნაკისრი 505 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და წარმოებას ჩააბარეს 515 ტონა ნედლეული.

ქების ღირსი არიან სოფელ დიდი ჭყონის კუიბიშევის კოლმეურნეობის მკლავმოღღლელი მეჩაიეები, რომლებმაც 124 ტონით გადააჭარბეს შარშანდელ ამავე პერიოდის მაჩვენებლებს. ისინი ამ დღეებში ვალდებულებას განაღდებენ.

შემართებით შრომობენ სოფლების კიწიის გაზეთ „პრავდის“ სახელობის, გაჭედილის „წინსწავლის“ და სხვა კოლმეურნეობათა მეჩაიეები, რომლებიც დღითი დღე აძლიერებენ კრეფის ტემპს ხუთწლედის მესამე წლის წარმატებით დამთავრებისათვის.

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით სხვა კოლმეურნეობების შესახებ, რომლებმაც რატომღაც შეანელეს ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი.

ვილაპარაკოთ უფრო კონკრეტულად.

დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა სეზონის დასაწყისში დიდ საზიზმო ვითარებაში გააფორმა სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულება და გადაწყვიტა სეზონში მოკრიფოს 5.590 ტონა ჩაის ფოთოლი. მაგრამ, როგორც ჩანს, დაივიწყეს რიხიანი დაპირებები, ლამაზად გაფორმებული ვალდებულებები კი ქაღალდზე დარჩა. აბა, სხვა რით უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ, როგორც ჩვენ ვნახეთ, პლანტაციებში ფოთოლი უხვად არის შემოსული, ზოგან გადაუხეშებულიც კია, მაგრამ კრეფის ტემპი მაინც დაბალია. ამიტომ შარშანდელი სეზონის შესაბამის პერიოდთან შედარებით 115 ტონით ნაკლები ფოთოლი აქვთ დამზადებული. შემოწმების დღისათვის წლიური ვალდებულებით ნაკისრი 60,9 პროცენტით, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია რაიონში. ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი კი იწურება. საინტერესოა, რას ფიქრობენ მეურნეობის ხელმძღვანელი ამხანაგები და პირადად მეუდია, მთავარი აგრონომი ვ. კაკულია) ახლა მაინც უნდა დასახონ გადამწყვეტი ღონისძიებანი ჩამორჩენის დასაძლევად.

სოფელ გაჭედილის „ავანგარდის“ (კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. წულაია, პარტბიუროს მდივანი კ. ჯანბურია) მეჩაიეები ცუდად როდი მუშაობენ. მართლაც რომ, დიდი საყვედურის ღირსი არ არიან, მაგრამ მათთანაც ყველაფერი რიგზე როდია. ჩვენ ვხედავთ „ნახურცლიანს“ ტერიტორიაზე გადაუხეშებული ჩაის პლანტაციები, გამოყენებული. ჩვენ ვნახეთ ათობით ჰექტარი ჩაის პლანტაციები, სადაც ფოთოლი გადაუხეშებულია კიდეც. ეს ყველაზე მეტად იგრძნობა კოლმეურნეობის იმ ბრიგადაში, რომელსაც კ. გვაზავა ხელმძღვანელობს. პლანტაციებში მეჩაიეები კანტკუნტად იყენენ გამოსული საკრეფად.

ყველაფერი წესრიგში არც სოფელ აბედათის სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობაშია (თავმჯდომარე დ. ნემსაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი თ. საჯაია). აბედათელმა მეჩაიეებმა ისე შეანელეს ფოთლის კრეფის ტემპი, რომ შარშანდელ დონეს სამარცხვინოდ ჩამორჩნენ. მეტ-ნაკლებად მსგავსი ნაკლოვანებებია სოფელ დიდი ჭყონის მახარაძის სახელობის, ლეხაინდრაგოს საქართველოს სახელობის კოლმეურნეობებში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია შემდეგი: ჩვენ შევამოწმეთ ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების (გენერალური დირექტორი თ. სურმავა) რამდენიმე ჩაის ფაბრიკა, რომელთა ჭიშკართან ჩაით დატვირთული მანქანები იდგა და თავიანთ რიგს ელოდნენ, რადგან ფაბრიკის მწარმოებლობა დაბალია და მოზღვავებული ნედლეულის გადამუშავებას ვერ აუდის.

აგროსაწარმოო გაერთიანების სპეციალისტებმა და მისმა თავმჯდომარემ რ. უბილავამ დაბეჯითებით დაგვარწმუნეს, რომ დიდი შეუსაბამობაა ნედლეულის რაოდენობასა და გადამმუშავებელი წარმოების სიმძლავრეს შორის, რაც მნიშვნელოვანწილად ხელს უშლის ჩაის ფოთლის დამზადების კონვეიერის მუშაობას.

გვჯერა, რომ ამ და ჩაის წარმოების გაფართოების სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხებით ახლა მაინც დაინტერესდებიან საქართველოს ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელები.

ბ. ᲩᲘᲮᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

რატომ შეინელდა ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲕᲐ?

რა ვნახეთ გეგეჭკორელთა ჩაის პლანტაციებზე

● ●

რნეობის დირექტორი მ. კვაშილავა, პარტიული კომიტეტის მდივანი ნ. ქვანია, მთავარი აგრონომი გ. ხუციძე იმაზე, რომ მათი სიტყვა და საქმე ერთმანეთს დაშორდა.

ჩაის ფოთლის კრეფა ნელი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე სოფელ გურძიმის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც შარშანდელთან შედარებით ათობით ტონით შეამცირეს დამზადების მაჩვენებლები. აქ შარშან ამავე პერიოდისთვის მოკრეფილი ჰქონდათ 752 ტონა ფოთოლი, ამჟამად კი 686 ტონა აქვთ.

სოფლის თავკაცებმა (გამგეობის თავმჯდომარე დ. ხუციცლავა, პარტბიუროს მდივანი ზ. სიორრომლებიც გაპიროვნებულია № 3 ბრიგადის (ხელმძღვანელი ე. რუხაია) მეჩაიეებზე. შემოწმებისას არც ერთი მკრეფავი არ იყო საშუშაოზე გამოსული. ბრიგადის ჩაის მიმღები პუნქტი გამოკეტილი დაგვხვდა. ახლა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ფოთლის კრეფის ამ ცხარე დღეებში კოლმეურნეობის წევრები მ. კოლოჩოვი, მ. წულაია, ვ. ცაავა თავისი გუდა-ნაბდით სადღაც რუსეთის მხარეში „საშოვარზე“ იყვნენ წასული.

სოფელ ნაგვაზაოს ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბევრმა მეჩაიემ ისახელა თავი. წლიური ვალდებულებაც კი შეასრულეს. მაგალითად, ნ. ჩაკვეტაძემ 6 ტონაზე მეტი ფოთოლი ჩაბარა წარმოებას გეგმით გათვალისწინებული 5 ტონის ნაცვლად. ასეთი მოწინავეები ცოტანი როდი არიან. სულ 50-ზე მეტმა მეჩაიემ შეასრულა წლიური დავალება. წარმატებები უფრო მეტი იქნებოდა, მაგრამ ყველა რეზერვი არ არის გამოყენებული ფერმერულ-ტექნიკურ საქმეში. ეს ბრიგადა ადგილობრივ ტექნიკურ ბაზაზე ამზადებს ბეტონის ბოძებს, ეს ბრიგადა ბეტონის ბოძებს ამზადებს ბაზარზე გასაყიდად. ეს ბრიგადა ბეტონის ბოძებს ამზადებს ბაზარზე გასაყიდად. ეს ბრიგადა ბეტონის ბოძებს ამზადებს ბაზარზე გასაყიდად.

ᲣᲨᲠᲣᲜᲕᲔᲚᲕᲧᲝᲗ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ ᲛᲔᲒᲙᲘᲪᲔ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ!

სლავისტთა IX საერთაშორისო ყრილობის მონაწილეთა მიმართვა მსოფლიოს ყველა მეცნიერს

26 ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ სლავისტი მეცნიერები, რომლებიც ქალაქ კიევში მორიგ ყრილობაზე შეიკრიბნენ, ამ მოწოდებით მიმართავენ მეცნიერების ყველა მოღვაწეს, კეთილი ნების ადამიანებს.

თანამედროვე საერთაშორისო ვითარება იწვევს ჩვენს დიდ შეშფოთებას მშვიდობისა და კაცობრობის ბედის გამო. ხაშიშად იზრდება გამლებული შეიარაღება. ეს წამლავს საერთაშორისო კლიმატს, უდიდეს ზიანს აყენებს საერთაშორისო თანამშრომლობას

უკანასკნელი

ფაქტები
მოვლენები
საკლესიო
იუწყება

პარტიული ცხოვრება: მოდის ახალი შევსება

სიფრთხილე და გულოდგინეგა

ახალი, 1983 წლის დაბადების წინა დღეებია... რამდენიმე ახალგაზრდა პარტიის ქუთაისის ავტოქარხნის რაიკომის ბიუროს სხდომთა დარბაზის მისაღებში მოსულა და გამოძახებას ელის...

ვინ არიან ისინი?

ნანა ებრალიძე. იგი 1959 წელს დაბადა. 1979 წლიდან შრომობს ნ. ლაკობას სახელობის ტექკოტაჟის ფაბრიკის ინტერნაციონალურ კოლექტივში. მოწინავე მკერავი, კომკავშირული ჯგუფის ყოფილი ხელმძღვანელი, დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს თანამოსაქმეთა შორის. იგი მუდამ პრინციპული და საქმის ერთგული. ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ ჯეროვნად დააფასა მისი შრომა და პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს.

სანამ პარტიის რაიკომის ბიუროზე მივიდოდა, ნანა ჯერ რაიკომის პარტიის რიგებში მიღებისა და კომუნისტთა პერსონალური საკითხების განხილვის კომისიაში მიიწვიეს. აქ მას გაესაუბრნენ, შეაქეს კიდეც. მაგრამ ბიუროო მაინც სხვა, და როცა გამოიძახეს, მოელვარებისაგან თითქოს ყველაფერი ერთმანეთში აერია.

ტრიკოტაჟის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა თამაზ ხელაძემ ბიუროს გააცნო ნანა ებრალიძის მოკლე ბიოგრაფია, შეუქო შრომა-გარჯა და აღნიშნა, რომ პარტორგანიზაციაში იგი ერთხმად მივიღეთ პარტიის წევრობის კანდიდატად.

სანამ პარტბიუროს მდივანი ლაპარაკობდა, ნანაც დამშვიდდა, და აი, დაიწყო შეკითხვები, რომლებიც შეეხო საგეგმო-სამეურნეო მაჩვენებლებს, ახალგაზრდების სულისკვეთებას, მომავლის გეგმებს... ნანა ყოველ კითხვას გააზრებულად უპასუხებდა, და როცა ბიუროო ერთხმად მიიღო იგი პარტიის წევრობის კანდიდატად, თავისუფლად ამოისუნთქა.

ასე გაიარა ნანას ცხოვრებაში ერთმა ლამაზმა, დაუვიწყარმა დღემ...

იმ დღეს პარტიაში სხვა ახალგაზრდებიც მიიღეს: ეთერ ბეღალაძე (ტრიკოტაჟის ფაბრიკის მოწინავე მქსოველი), ლიანა კუპრაშვილი (ავეჯის კომბინატის დამხარისხებელი), გურამ გიორგაძე (ავეჯის კომბინატის მუშა-ბრიგადირი), ავთანდილ ლომსიანი, (35-ე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი).

ახალგაზრდები ერთმანეთს გულმხურვალედ უსურვებენ ღირსსახსოვარ დღეს..

* * *

პარტიის ავტოქარხნის რაიონულმა კომიტეტმა საერთოდ პარტიული მუშაობის და კერძოდ, პარტიაში მიღებისა და ახლად მიღებულებთან მუშაობის სფეროში საინტერესო გამოცდილება შეიძინა. სხვა რომ არაფერი, ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ რაიონის პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად იზრდება და მტკიცდება. 1978 წლის ივნისში, როცა აღნიშნული რაიონი შეიქმნა, პარტიულ ორგანიზაციაში გაერიანებული იყო 6.327 პარტიის წევრი და წევრობის კანდიდატი, ხოლო მას შემდეგ აქ კომუნისტთა რაოდენობა თითქმის 1250-ით გაიზარდა. ამავე პერიოდში გაიზარდა რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების რიცხვიც. თუ იყო 143, ამჟამად თითქმის ორასია. მარტო შარშან 35 ახალი პირველადი პარტორგანიზაცია შეიქმნა, პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს 245 მოწინავე ადამიანი. წლეულს 6 თვეში პარტიაში მიღებულია 140 კაცი, საიდანაც 101 მუშაა. რა თქმა უნდა,ეს ფაქტები სრულიადაც არ ნიშნავს რაოდენობისადმი გამოდევნებას, საქმე ის არის, რომ აქ დიდი სიფრთხილითა და გულმოდგინებით ეკიდებიან თითოეული კანდიდატურის შერჩევას.

პარტიის რაიკომი სისტემატურად ზრუნავს პარტიის რიგებში მიღების რეგულირებისათვის. ყველა პირველადს ორგანიზაციაში შექმნილია სარეზერვო სიები. შარშან ამ სიებში შეტანილი იყო 500-ზე მეტი მოწინავე ადამიანი, რომლებთანაც ნაყოფიერი მოსაზმადებელი მუშაობა მიმდინარეობს პარტიის რიგებში მიღებასთან დაკავშირებით. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურად ღ ე ბ ა ეთმობა მცირერიცხოვან პარტიულ ორგანიზაციებს, რომელთა რიცხვი რაიონში ჯერ კიდევ ბევრია — 90 პირველადი პარტორგანიზაციაა.

— ჩვენთან გეგმაინი მუშაობა მიმდინარეობს მცირერიცხოვანი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გასაღიდებლად, მათი შემადგენლობის გასაუმჯობესებლად, — ამბობს პარტიის რაიკომის ერთიანი პარტბიღეთისა და სტატისტიკის სექტორის გამგე ლალი ადამია. — მაგალითად, „საქსოფლტექნიკის“ №5 ავტოსატრანსპორტო კანტორის პარტიული ორგანიზაცია მცირერიცხოვანია. ამიტომ ერთობ ჭირდა იქ პარტიული მუშაობის ფორთოდ გაშლა, რის გამოც ხშირად იცვლებოდა ორგანიზაციის მდივანი. რა დასამალია, აქ სათანადო ყურადღებას არ ვაქცევდით.

დღეს, როცა უკვე პრაქტიკულად ვანხორციელებთ პლენუმის გადაწყვეტილებებს, მთელი ჩვენი საქმიანობა პარტიული მუშაობის სფეროში მიზნად ისახავს ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. აქვე თვითკრიტიკულად მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის ნაკლია ზოგჯერ აჩქარება, შეიძლება ითქვას, ლიბერალური დამოკიდებულება. მაგალითად, ამას წინათ პარტიის რიგებიდან გაირიცხა ელექტრომექანიკური ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ახალგაზრდა წევრი დ. ჩუბინიძე.

ეს ფაქტი რაიკომის მდივნის მიერ ზემოთქმულის დასტურია. დიახ, მუდამ ფხიზლად უნდა ვყოთ. რა თქმა უნდა, პარტიაში მიღება არ უნდა შეეზღუდოთ, მაგრამ კარი, მხოლოდ ღირსეულთათვის უნდა გაიღოს.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

თეატრის მაღალი მისია

ქართული საბჭოთა თეატრის დღევანდელობის, მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ საინტერესო და პრინციპული სჯაბაასის ტრიბუნა გახდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის პლენუმი, რომელიც 12 სექტემბერს გაიმართა აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში. პლენუმმა განიხილა რესპუბლიკის თეატრების შარშანდელი სეზონის შედეგები და სცენური ხელოვნების მოღვაწეთა ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

თეატრალური საზოგადოების გამგეობის პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. გამრეკელმა.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ მსახიობები, რეჟისორები, დრამატურგები, კრიტიკოსები, რესპუბლიკის შემოქმედებითი კოლექტივების ხელმძღვანელები, პარტიული მუშაკები.

განვლილმა სეზონმა, აღინიშნა პლენუმზე, დაადასტურა ქართული საბჭოთა თეატრის მაღალი რეპუტაცია: შექმნილია სპექტაკლები, რომლებშიც ნათლად იგრძნობა საინტერესო თემების აქტიური ძიება, ჩინებული მხატვრული გადაწყვეტები, ცხოველი ინტერესი ადამიანის შინაგანი სამყაროსადმი, მოქალაქეობრიობა და ეროვნულობის აქტუალურობა. რესპუბლიკის ბევრმა თეატრალურმა კოლექტივმა დიდი წარმატებით გამართა გასტროლები ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში და საზღვარგარეთ. მაყურებელი გულთბილად შეხვდა თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის დადგმებს — ა. ჩხაიძის „სამიდან ექვსამდე“, რ. იბრაგიმბეკოვის „დაკრძალვა კალიფორნიაში“. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის კოლექტივის მაღალი შემოქმედებითი პოტენციალის კიდევ ერთი დადასტურებაა სპექტაკლები — „ანა კარენინა“ ლ. ტოლსტოის მიხედვით, რ. გაბრიაძის „სამოთხის ჩიტი“. ახალი დადგმებით გაახარა მაყურებელი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა. ესენია ვერდის „ტრუბადური“, შტრაუსის „სალომე“, ს. პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტა“.

რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის კოლექტივმა მოქმედების სახელმძღვანელოდ აღიქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. კოლექტივი ისწრაფვის გაამდიდროს რეპერტუარი, შექმნას ჭეშმარიტად მაღალმხატვრული ნაწარმოებები. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. თეატრის კოლექტივმა, მისმა ხელმძღვანელობამ კიდევ ბევრი პრობლემა უნდა გადაჭრან, რათა ააღორძინონ თბილისის ოპერის ძველი დიდება.

სერიოზული შემოქმედებითმ მუშაობას ეწევა თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრი—რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა კოლექტივი.

გასვლილ სეზონში ბევრი საინტერესო სპექტაკლი დაიდგა რესპუბლიკის საქალაქო და რაიონულ თეატრებში. მათ შორის, სოხუმის ს. ჯანბას სახელობის აფხაზური თეატრსა და კ. გამსახურდიას სახელობის ქართული თეატრებში, ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის, ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის, მესხეთის, რუსთავის თეატრებში...

1982-1983 წლების თეატრალური სეზონი გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისთვის მზადებით აღინიშნა. საქართველოს კულტურის სამინისტრომ თეატრალურ საზოგადოებასთან ერთად მოაწყო კონკურსი ამ თარიღისადმი მიძღვნილი საუკეთესო ნაკლების შექმნისათვის. პლენუმზე გამოსულმა ამხანაგებმა დაწერილებით გააშუქეს ეს დადგმები.

შემდეგ პლენუმის მონაწილეებს მიმართა საბჭოთა თეატრის უხუცესმა მსახიობმა, სსრ კავშირის სასახალხო არტისტმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვერიკო ანჯაფარიძემ, რომელმაც მოუწოდა განავითარონ ქართული თეატრის მდიდარი ტრადიციები, თვალისჩინივით გაუფრთხილდნენ მის ინტერესებს.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ენუქიძემ.

პლენუმის მონაწილეებმა წერილი გაუგზავნეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ყოველ ჩვენგანს, ნათქვამია წერილში, თავის უწმინდეს მოვალეობად მიაჩნია შემატოს წვლილი მაღალიდეური და მაღალმხატვრული, ღრმაშინაარსიანი და საინტერესო სპექტაკლების შექმნას, რომლებიც გაამდიდრებენ მაყურებლის სულიერ სამყაროს, გაუღვივებენ მას პატრიოტიზმის სულისკვეთებას, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის პრინციპის ერთგულ ერგებ ის გრძნობას.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე.

(საქინფორმი).

● ნიკარაგუა

მთავრობის თხოვნა

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის განცხადება

მანაგუა. ნიკარაგუამ თხოვნით მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს, მოიწვიონ საგანგებო სხდომა. ეს განაცხადა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნორა ასტორგამ.

ნიკარაგუის მთავრობა აპირებს, უშიშროების საბჭოს განსახილველად წარუდგინოს დიდძალი მასალა, რომელიც დაკავშირებულია ნიკარაგუის ქალაქების ამასწინანდელ დაბომბვასთან და ამხილოს შეერთებული შტატები, როგორც ამ აგრესიული აქციების მთავარი ორგანიზატორი, ხაზგასმით აღნიშნა ნ. ასტორგამ.

● აშშ

კონგრესმა მუშაობა განაახლა

დღის წესრიგშია მოწვევა საშინაო და საგარეო-პოლიტიკური საკითხები

ვაშინგტონი. ხაზგასმულია არდადეგების შემდეგ მუშაობა განაახლა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მორიგმა სესიამ.

როგორც ადგილობრივი მიმომხილველნი აღნიშნავენ, შეერთებული შტატების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დღის წესრიგი ალსავსეა მწვავე საშინაო და საგარეო-პოლიტიკური საკითხებით. მაგალითად, უკვე მომავალ კვირაში დაიწყება რეიგანის ადმინისტრაციის მიერ წარდგენილი ამერიკის შეერთებული შტატების 1984 წლის სამხედრო ბიუჯეტის პროექტის განხილვა. ეს რეკორდული ბიუჯეტი ითვალისწინებს 280 მილიარდი დოლარის გამოყოფას სამხედრო საჭიროებებისათვის. არადაგებზე წასვლამდე სენატმა და წარმომადგენელთა პალატამ შეიმუშავეს ბიუჯეტის ეგრეთ წოდებული კომპრომისული ვარიანტი, რომელიც ადმინისტრაციას გზას უხსნის „შექს“ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების, ქიმიური იარაღის ახალი ნაირსახეობის — ბინარული ჭურვების, აგრეთვე სხვა უახლეს სახეობათა იარაღის წარმოებისათვის. მაგრამ, როგორც პრესა მოწმობს, რეიგანის ადმინისტრაციას, რომელიც ცდილობს გამოიყენოს სამხრეთ-კორეის თვითმფრინავის პროვოკაციული „ინციდენტი“, განზრახული აქვს გაალიეროს კონგრესზე ზემოქმედება, რათა მან უსიტყვოდ დაუმტკიცოს ბიუჯეტის არა „კომპრომისული“ ვარიანტი, არამედ აბსოლუტურად ყველა მოთხოვნაც ამ დარგში.

რეიგანის ადმინისტრაცია აპირებს ეს ყურთან მოთრეული საბაბი გამოიყენოს აგრეთვე იმისათვის, რომ კონგრესს არ მიაღებინოს ბირთვული არსენალების გაყინვის რეზოლუცია. აქამდე ასეთი რეზოლუციის პროექტი მოიწონა წარმომადგენელთა პალატამ თეთრი სახლის მასირებული ზემოქმედების მიუხედავად.

შემოხვევა

კატასტროფა ხიდზე

დელი. ასოცდაათამდე კაცი დაიღუპა სამგზავრო ავტობუსის კატასტროფის შედეგად, რომელიც მოხდა ინდოეთის ქალაქ ვიჯაიპურის (მადჰია პრადეშის შტატი) მახლობლად. გადატვირთული მანქანა დაცურდა დატბორილ ხიდზე, რომლითაც იგი ცდილობდა ძლიერი წყალდიდობის შედეგად ადიდებულ მდინარე კანვალზე გადასვლას.

ფაქტის კომენტარი

მიედ-მოედებიან, ტყავში ქვრებიან...

რაც უფრო მეტად ტეხენ ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეები აღვირახსნილ ანტისაბჭოურ აურზაურს სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში მათ მიერვე შემოგზავნილი სამხრეთ-კორეული „ბოინგის“ ინციდენტის გამო, მით უფრო ცხადი ხდება, რომ მთელი ეს აურზაური თავიდან ბოლომდე ემყარება სიცრუეს, ფაქტების ფლდურ, უხეშ დამახინჯებს. ამის კიდევ ერთი დასტურია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება, რომელიც ეხება იმ საკითხს, მიიღო თუ არა თვითმფრინავმა გაფრთხილება საბჭოთა საზღვრის დარღვევის შესახებ.

როგორც ცნობილია, საბჭოთა მთავრობის განცხადებაში მოცემულია იმის სრული და ობიექტური სურათი, რაც 31 აგვისტოს ღამით მოხდა სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში — ჯერ კამჩატკის, ხოლო შემდეგ სახალინის თავზე. საბჭოთა მხარემ საგანგებოდ გაუსვა ხაზი, რომ ყველაფერი იღონა, რათა გაეფრთხილებინა სსრ კავშირის საზღვრის დამრღვევი სამხრეთკორეული „ბოინგი“, რომ იგი სხვის საჰაერო სივრცეში შეეჭრა; ამ მიზნით საბჭოთა ავიაგამანადგურებელმა დამრღვევი თვითმფრინავის მოძრაობის კურსის პარალელურად შეასრულა გამაფრთხილებელი სროლა მგზავი ჭურვებით. ასეთი ღონისძიება გათვალისწინებულია საერთაშორისო წესებით.

ვაშინგტონი, რომელიც ცდილობს საქმე ისე წარმოსახოს, თითქოს სსრ კავშირი თავს დასხმოდეს „შეშთხვევით გზასაცდენილ“ თვითმფრინავს, ხელაღებით უარყოფდა ამ ფაქტს. „არ არის არავითარი მითითება იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირი შეეცადა გაეფრთხილებინა თვითმფრინავი მგზავი ჭურვების გასროლით“, — განაცხადა ერთ-ერთი გამოსვლის დროს პრეზიდენტმა რეიგანმა. მას შემდეგ, რაც მოსკოვმა ამერიკელ ოფიციალურ პირებს ინფორმაციის ფაქსიმილეები გადასცა, ვაშინგტონმა ეს „ჩანაწერები“ ალბათ ეჭვქვეშ დააყენა. ეს ეჭვი ალბათ ამ ფაქტზე დაფუძნებული, რომ ეს „ჩანაწერები“ ალბათ ყალბია...

ერთი სიტყვით, ცხადზე უცხადესია, რომ უცილობელი ფაქტების წინაშე ვაშინგტონი ცდილობს დაიძვრინოს თავი, რაღაცას მიედ-მოედება და სულ უფრო მეტად იხლართება თავისსავე ტყუილში. იგი იძულებულია თუნდაც ნაწილობრივ აღიაროს ეს ტყუილი. ვნახოთ რა მოხდება შემდეგ. რაც შეეხება საბჭოთა და საერთაშორისო საზოგადოებრიობას, იგი რეიგანის ადმინისტრაციისაგან მოელის პასუხს ორ კითხვაზე: ვინ და რა მიზნით შემოგზავნა დამრღვევი თვითმფრინავი სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში და რატომ იყო, რომ „ბოინგში“, რომელიც აშკარად გამოგზავნეს საჯაშუშო დავალების შესასრულებლად, მგზავრები აღმოჩნდნენ? რამდენიც უნდა გაიჭაჭონ პროფოკაციის ორგანიზატორები, ამ კითხვებზე პასუხის გაცემას თავს ვერ აარიდებენ... (საკდესი).

● იაპონია

საშიში გზით

ერთიანული
მთავრობის ტიტიტიტი
კრიტიკა პარლამენტში

ტოკიო. ი. ნაკასონეს მთავრობას იაპონია მიჰყავს საშიში გზით, რომელიც ქვეყანას ვაშინგტონის ბირთვულ სტრატეგიაში ითრევს, განაცხადა პარლამენტში გამოსვლისას იაპონიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ტანაბემ.

ქვედა პალატის სხდომაზე პრემიერ-მინისტრის სპეროგრამო სიტყვის განხილვის დროს იაპონიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მკაცრად გააკრიტიკა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის მთავრობა იმის გამო, რომ იწონებს იაპონიის ნავსადგურებში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ბირთვულიარაღიანი ხომალდების შესვლას. მან დაგმო კაბინეტის გადაწყვეტილება პენტაგონისათვის იაპონური მაღალი სიზუსტის ტექნოლოგიის გადაცემის შესახებ. მოსახლეობის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, თქვა მ. ტანაბემ, რომ მუშავდება გეგმები, თუ რა მონაწილეობის მიიღებენ იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალები ქვეყნის ნაპირებიდან ათასობით მილით დაშორებულ საზღვაო კომუნიკაციებზე ეგრეთ წოდებულ „კონტროლის“ ოპერაციებში.

საზოგადოებრიობა აღაშფოთა ნაკასონეს ამასწინანდელმა პროვოკაციულმა გამონათქვამ ე ბ მ ა იმის შესახებ, რომ ქვეყანა უნდა გადაიქცეს „ჩაუძირავ ავიამზიდად“, და „კრიზისულ სიტუაციაში“ გადაიკეტოს საერთაშორისო სრუტეები შორეულ აღმოსავლეთში. ყოველივე ეს მოწმობს ახლანდელი კაბინეტის პოლიტიკის აგრესიულ ხასიათს, თქვა შემდეგ სოციალისტური პარტიის წარმომადგენელმა.

ახლო აღმოსავლეთი

ზრდიან სამხედრო ხარჯებს

ბერუთი. შეერთებული შტატები განუწყვეტლივ აძლიერებს თავის სამხედრო კონტინგენტს ლიბანში, რომლის წინააღმდეგაც აშკარა შეიარაღებული ინტერვენცია მოიმოქმედა. ლიბანის სანაპოლიკის მიადგა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების კიდევ სამი სამხედრო ხომალდი, რომლებმაც ჩამოიყვანეს 2000 საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი იმ 1200-ის დამატებთ, რომლებიც უკვე აქტიურად მონაწილეობენ მშვიდობიანი ლიბანელი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო ოპერაციებში.

ამერიკის ინტერვენციონისტულ ძალებთან პირშეკრული ისრაელის მხედრიონი ძაბავს ვითარებას ლიბანში. გასვლილი ორი დღის განმავლობაში ისრაელმა ოკუპანტებმა მასირებული ცეცხლი დაუშინეს ლიბანში მშვიდობის ხელშემწყობი პანარაბული ძალების სირიელთა კონტინგენტს, აგრეთვე მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებს ბექაას ველზე. სირიის ჯარებმა საპასუხო დარტყმა მიაყენეს დამპყრობლებს და ჩაახშეს მათი საცეცხლე წერტილები.

ამავე დროს ისრაელები ფეხს იკიდებენ სამხრეთ ლიბანის ოკუპირებულ რაიონებში. იქ გადაიყვანეს ათობით ტანკი, ჯავშანტრანსპორტიორი და სამხედრო სატვირთო ავტომობილი. სამხრეთ ლიბანში „საინსპექციო“ ვიზიტად იყო ისრაელის სამხედრო უწყების ხელმძღვანელი არენსი. იგი გაეცნო „თავდაცვის ზღუდეს“, რომელიც ინტერვენტებმა მდინარე ავალიზე შექმნეს.

ჩადის ტრაგედია

საერთაშორისო შენიშვნები

საშინაო არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობითა და სამოქალაქო ომებით დღევანდელ აფრიკაში უკვე ვერავის გაკვირვებ. მართლაც რომ, იუველირული სიზუსტით ჰქონდათ ყველაფერი განსაზღვრული და ბანგარიშებული კოლონიური მმართველობის სტრატეგებს, პოლიტიკური არასტაბილურობით, ტრაიბალიზმით, სასაზღვრო დავებით, რელიგიური შუღლით ჯეროვდეგ კლასიკური კოლონიალიზმის დროს დანაღმეს ინგლისელმა და ფრანგმა ენციალ-გუბერნატორებმა აფრიკის დიდი ნაწილი. მათი ვარაუდით შენელებული მოქმედების ნაღმის დეტონატორი საჭირო მომენტში უნდა ამოქმედებულიყო.

როდესაც 60-იანი წლების დამდეგს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და სხვა საერთაშორისო ფაქტორთა გავლენით კოლონიზატორები იძულებული გახდნენ ერთიმეორეზე მიყოლებით პოლიტიკური დამოუკიდებლობა „ებოძათ“ აფრიკის ხალხებისათვის, ვინ იფიქრებდა რომ სულ მალე კონტინენტს სამხედრო გადატრიალებათა, ტრაიბალიზმის სისხლისმღვრელ გამოვლინებათა და დაუსრულებელი სამოქალაქო ომების ტალღა დაატყდებოდა თავს. მათრობელა გამოდგა ბევრი აფრიკელი პოლიტიკური მოღვაწისათვის თავისუფლების ჰაერი — საკმარისი გახდა სიფხიზლის სულ ოდნავი მოდუნება, პოლიტიკურ მოვლენათა კლასობრივი არსის მივიწყება თუ უგულებელყოფა და კარიდან გაძევებული კოლონიალიზმი სარკმლიდან შემოძვრა ნეოკოლონიალიზმის სახით.

...მართალია, დღეს თითებზე ჩამოსათვლელია აფრიკაში პოლიტიკურად სტაბილური რეჟიმები, მაგრამ არასტაბილურობის რეკორდი მაინც ჩადს უკავია. ამა სხვაგან კიდევ სად ნახავთ, რომ თავისუფლების 22 წლიდან 17 სამოქალაქო ომზე მოდიოდეს? შედეგმა კი არ დააყოვნა. მარტო 1980 წელს 150 ათასი ჩადელი გაიქცა კამერუნში. ქვეყანა ძლიერ გაკოტრდა, მთელ რიგ სახელმწიფო დაწესებულებათა თანამშრომლებს უკვე ოთხი წელია ხელფასი არ მიუღია, პრაქტიკულად არ არსებობს ჯანმრთელობის დაცვის სისტემა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საბავშვო ფონდი — იუნისეფი ყველა საშუალებით ცდილობს დედაქალაქში არსებული ერთადერთი საავადმყოფოს დაკომპლექტებას ექიმებითა და მედიკამენტებით. სამოქალაქო ომმა მთლიანად მოუღო ბოლო განათლების სისტემას. მხოლოდ ორიოდე სკოლა გადაურჩა დანგრევას, მაგრამ მათ არც ავეჯი და არ სასწავლო ინვენტარი აქვთ. უკანასკნელ ოთხ წელიწადში ქვეყანამ 3.000 მასწავლებელი დაკარგა. ნჯამენაში რის ვაი-ვაგლახით აღდგენილ ერთ სკოლაში 100 ბავშვია თითოეულ კლასში (!). ერთადერთი უნივერსიტეტი 1979 წელს დაიხურა, დღეს მისგან კედლებიღა დარჩა.

მდგომარეობას ართულებს ეთნიკური ფაქტორიც, სწორედ ჩადზე გადის არაბული აფრიკისა და შავი აფრიკის საზღვარი, რომელთა შორის არასოდეს ყოფილა კეთილმეზობლური ურთიერთობა. არაბი მონათვაჭრები რეგულარულად ეზიდებოდნენ „ცოცხალ საქონელს“ სამხრეთიდან, სანამ ფრანგმა კოლონიზატორებმა ბოლო არ მოუღეს მონათვაჭრობას (რასაკვირველია, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე).

უკანასკნელად ეროვნული ერთობის პერსპექტივა 1979 წელს გაჩნდა, როდესაც ნიგერიის შუამდგომლობით შეიქმნა ეროვნული ერთობის გარდამავალი მთავრობა გუკუნი უედეის მეთაურობით, სამი თვეც ვერ იარსება გარდამავალმა მთავრობამ, თავდაცვის მინისტრმა ჰისენ ჰაბრემ სამხედრო გადატრიალების მოწყობა სცადა, მაგრამ შეტაკების შედეგად მთლიანად დანგრეულ დედაქალაქში კვლავ უედეის მთავრობა დარჩა. 1981 წელს ჰაბრემ ხელმეორედ სცადა ბედი და ამჯერად მას დარჩა დედაქალაქი. უედეი ჩრდილოეთში გამაგრდა. ისევდაც კატასტროფამდე მისული ეროვნული მრეწველობისათვის ახალი ომი აბსოლუტურ კატასტროფად იქცა — 200 საწარმოდან მხოლოდ 5 გადაურჩა ახალ სამოქალაქო ომს. 1980 წლისათვის სახელმწიფო ვალმა 225 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც შვიდჯერ აღემატება სახელმწიფოს შემოსავალს.

...ჩადის დედაქალაქ ნჯამენის ქუჩებში, ტყვეებით დაცხრილულ ხეებზე გაკრულია პლაკატები, რომლებზეც სამსახოვანი ჰაბრეა გამოსახული: მეიმრის ტანსაცმელში, ევროპულ კოსტიუმში და ტრადიციულ არაბულ სამოსში

ფოტოფაქტი

საფრანგეთი აფართოებს ჩადში შეიარაღებული ინტერვენციის მასშტაბს. როგორც გაზეთი „ტაიმსი“ აღნიშნავს, ჩადში მყოფ საფრანგეთის ჯარებში „ნომერი პირველი მზადყოფნაა გამოცხადებული“.
სურათზე: საფრანგეთის სამხედრო მოსამსახურენი ნჯამენაში.
აპ-საკდესის ფოტო.

გამოწყობილი. პლაკატებზე წარწერაა: „რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, მხოლოდ ჩვენი საქმეა“. სინამდვილეში კი 41 წლის დიქტატორმა კარგა ხანია, რაც ბევრი არამკითხე ჭირისუფალი გაუჩინა თავის ქვეყანას. ვინც მეტნაკლებად ერკვევა აფრიკის სინამდვილეში, მშვენივრად იცის, რომ ეთნიკური თემებით მრავალრიცხოვან ქვეყანაში პრაქტიკულად შეუძლებელია ერთი რომელიმე სოციალურ-პოლიტიკური ჯგუფის მმართველობა. იგი არასოდეს იქნება სტაბილური. არც ამა თუ იმ სამხედრო-პოლიტიკურ დაჯგუფებას შეუძლია იმ პირობათა უზრუნველყოფა, რომელთა ბაზაზეც უნდა განმტკიცდეს ეროვნული თვითშეგნება. აქედან გამომდინარე კი ერთადერთ საეჭვო როგორამ სიტყვით მიმართა უედეიმ. მან გააანალიზა მარცხის მიზეზები და პოლიტიკური შეფასება მისცა ჰაბრეს რეჟიმის წინააღმდეგ ოპოზიციის ბრძოლას. მან სმა დაახასიათა ჰაბრეს მისია — „გადასცეს ქვეყანა იმპერიალიზმსა და სიონიზმს, გადაიქცეს იგი აფრიკის პროგრესულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ აგრესიის ბაზად“. უედეიმ კატეგორიულად უარყო აგრეთვე ყოველგვარი ჭორი იმის თაობაზე, თითქოს მის არმიაში ლიბიის „ისლამური ლეგიონის“ ჯარისკაცები იბრძოდნენ. მან ოფიციალურად სთხოვა უცხოელ ჟურნალისტებს, ადგილზე შეემოწმებინათ მათი სისწორე. მალე ფრანს პრესის კორესპონდენტმა საჯაროდ აღიარა, რომ გარდამავალი მთავრობის არმიაში „მაშველ რგოლად“ კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია ხდება. ჯერ კიდევ ამა წლის გაზაფხულზე, როდესაც ასე მწვავე ხასიათი არ ჰქონდა ბრძოლებს, ვაშინგტონმა ზაირის საშუალებით 50 მილიონი დოლარი გამოუყო ჰაბრეს სამხედრო საჭიროებისათვის. იმავე პერიოდში ნჯამენაში გამოჩნდნენ სუდანელი ოფიცრები, მათ შორის წმების სპეციალისტები ისმაილბაბაში და დეფალაჰ ელ-ნაიმი. სუდანელებს ისრაელები მოჰყვნენ. თელ-ავივსა და ვაშინგტონს ჩადის დედაქალაქში სამხედრო ბაზა აჯიკოსეი აინტერრესებთ. მაშინ, როდესაც ჰაბრეს რეჟიმი რეპრესიული ოპერაციებით იყო გართული ქვეყნის სამხრეთში, ჩრდილოეთში ეროვნული ერთობის გარდამავალი მთავრობა ეროვნულ-განმათავისუფ ლ ებ ელ არმიას ქმნიდა. რაც მთავარია, დაძლეულ იქნა რევოლუციურ-დემოკრატიულ საბჭოსა და გარდამავალ მთავრობაში წარმოდგენილ სხვა დაჯგუფებათა შორის არსებული უთანხმოება, სპეციალური იდეოლოგიური კომისია შეუდგა პოლიტიკური პლატფორმის შემუშავებას. ერთი წლის სიჩუმის შემდეგ ჩადელებს ვრცელი საპ-

● 14 სექტემბერი, 1983 წ. ●

იღებენ ფილმს

გამარჯვების ფასი

„მოსფილმში“ მიმდინარეობს მზადება ა. ჩაკოვსკის რომანის „გამარჯვების“ მიხედვით ორსერიანი ფილმის გადაღებისათვის. მომავალი ფილმის რეჟისორს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს ევგენი მატვეევს ვთხოვეთ ეამბნა, თუ როგორ მუშაობენ ეკრანიზაციაზე.

— დიდმა სამამულო ომმა განსაზღვრა საბჭოთა ადამიანების არაერთი თაობის ბედი, — თქვა ე. მატვეევმა, — წარსული ომი ჩემი სიჭაბუკის დროა. სამხედრო თემაზე მუშაობა პირადად მე მიმიჩნია ადამიანის, კომუნისტისა და ხელოვნის მოვალეობად.

ა. ჩაკოვსკის რომანი „გამარჯვება“ ეხება არა იმდენად ომის ამბებს, რამდენადაც საბჭოთა ადამიანების მაღალ ზნეობრივ საფუძვლებს. ჩემთვის ახლობელია წიგნის დიდი მოქალაქეობრივი პათოსი. ფილმის სცენარი დაეწერე კინოდრამატურგ ვადიმ ტრუნინთან ერთად. ერთერთი მთავარი მიზანი, რომელსაც მუშაობის დროს ვისახავთ, ფაშიზმის მხილებაა. ახალი თაობები გვცვლიან ჩვენ, ვინც გადავიტანეთ ომი, და მათ უნდა იცოდნენ სიმართლე ისეთ საზარელ მოვლენაზე, როგორიც ნაციზმია.

ფილმს გადავიღებთ პოლიტიკური და ისტორიული ქრონიკის ჟანრით და ისტორიული ფაქტების ზუსტი შესაბამისობით. ჩვენ ვესწრაფვით რომანის ეკრანიზაციისას შევინარჩუნოთ მისი მთავარი მხატვრული პრინციპები — პოლიტიკური სიმწვავე, მასშტაბურობა, თხრობის პუბლიცისტური მგზნებარება. არ შეიძლება გულგრილი დარჩე დასავლეთის ზოგიერთი გახმაურებული ფილმისადმი, რომლებშიც ტენდენციურად არის გაშუქებული მეორე მსოფლიო ომის ამბები, დაკნინებულია ან საერთოდ არ არის ნახსენები საბჭოთა არმიის გადამწყვეტი როლი ფაშიზმის განადგურებაში. ამ პოზიციებით რომანის ზუსტი დოკუმენტურობა განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის.

ბევრი სიძნელე ჩნდება მსახიობთა შერჩევისას. მომავალ ფილმში 78 კაცი მარტო ისტორიული პირია! უნდა მივაღწიოთ არა მარტო პორტრეტულ მსგავსებას, არამედ წარმოვაჩინოთ კონკრეტული ისტორიული მოღვაწის პოლიტიკური, სოციალური სახე.

სტალინის სახეს შექმნის ქართველი მსახიობი რამაზ ჩხიკვაძე, ტრუმენისას — ლეტეული მსახიობი ალგის მასიულისი, ჩერჩილისას— მოსკოვის სატირის თეატრის მსახიობი გიორგი მენგლეტი. მთავარი გმირის— ჟურნალისტ ვორონოვის როლს შეასრულებს ალექსანდრე მიხაილოვი, ხოლო მისი ამერიკელი კოლეგის ბრაიტის როლს — ანდრია მირონოვი.

ფილმზე მუშაობაში მონაწილეობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ფინეთის კინემატოგრაფისტები. გვინდა, რომ ფილმში აისახოს რომანის ავტორის მსოფლშეგრძნების გულწრფელობა და სიღრმე, მისი ფუნჯი და დიდი პატრიოტი შეშფოთება მშვიდობის ბედისათვის.

ა. ლებედევი,
„იზვესტია“. 1983 წ. 12-IX.

• •

სიგელების გაცემა

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისა და ნაყოფიერი საშემსრულებლო მოღვაწეობისათვის თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუშაკთა ჯგუფს მიენიჭა „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდება. ესოდენ დიდი პატივი წილად ხვდათ საქართველოს სახელმწიფოდ დამსახურებული სიმფონიური ორკესტრის დასის მსახიობებსაც.

მათთვის ამ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ სიგელების გადაცემა გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

რესპუბლიკის საპატიო წოდებების — მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკისა და სხვათა შესახებ სიგელები იმ დღეს გადაეცათ საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკებს — ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და ინსტიტუტის 50 წლისთავთან დაკავშირებთან.

მათ სიგელები გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ვ. ლაშქარაშვილმა, რომელმაც მიულოცა ყველა დაჯილდოებულს და უსურვა ახალი წარმატებანი შრომაში, ბედნიერება პირად ცხოვრებაში.

(საქინფორმი).

ჟამი «მეუ-ვიდე განახლე-ბისა»

1976 წელი, 16 მაისი, კვირა დღე.

არსებობას იწყებს გარეჯის სახალხო უნივერსიტეტი — მემკვიდრე ძველსაუკუნეთა გარეჯული „სკოლებისა“.

არსებობას იწყებს საყოველთაოსახალხო დღესასწაული —„გარეჯობა“.

ზენიშანი (გნებავთ — „დევიზი“) პირველი გარეჯობისა — „კიდევაც დაიზრდებიან“... ტანახოვანი ქართული ასონიშნებით აწყობილი წარწერა, განფენილი მერაბ ბერძენიშვილის სახელგანთქმულ სკულპტურულ კომპოზიციაზე — ქართლის დედა, და მახვილის მტვირთველნი ძენი მისნი.

დედის სახეზე — ძუ მგლის მძვინვარება;

მახვილის ტანში — დაუშრეტელი ძალმოსილება ქართული ნებისა;

ყრმათა თვალებში — უმძიმესი კაეშანი და უზღვრო ლტოლვა სამომავლო აღორძინებისა და გამძლავრებისა.

მოსული ხალხი საქართველოს ყოველ კუთხიდან პირველ გარეჯობაზე.

მოსულან ფეხით, ცხენებით, მანქანებით.

დავითის ლავრასთან ტევა აღარ არის.

ათი-თორმეტი ათასი კაცი მაინც დაითვლება.

გალავნის ქონგურებზე და გოდოლებზე აბჯროსანი მეციხოვნენი ჩარიგებულან.

ლავრის ალაფფთან ნაღარების და დოლ-ბარბითების გრიალით, სტუმრებს ეგებებიან სახალხო მოქმედნი. ტაძრის ზედა ტერასიდან კახური „მრავალჟამიერი“ არყევს მრავალნაგლოვარ გარეჯის ცისგვამს. მერე — „შენ ხარ ვენახი“, რომელიც რვაას ოცი წლის წინათ სწორედ აქ დავითგარეჯში შეთხზა და პირველად იმღერა თვითონ ავტორმა, დემეტრე მეფემ. მასუკან — „ჩაკრულო“ („ხმალო, ხევსურეთს ნაჭედო, თელავში თუმმა გაგფერა, მეფე ერეკლემ გაკურთხა, საომრად ჯვარი დაგწერა!“)...

იქ — ჭიდაობა,
იქ — ბერიკაობა,
იქ — „რთველი“,
იქ — „ალაოობა“,
იქ —ქართულ ურმებზე ჩარიგებული ახალი წიგნები,
ფაფები,
ქოხები,
კერები,
აკვნები, აკვნები (ოცნება ქართველთა გამრავლებაზე!)...

მომღერალ-მოცეკვავეთა დასები — საგარეჯოს კულტურის სახლისა, პუშკინის პედაგოგიური ინსტიტუტისა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა.

სტუმართა შორის — სახელოვანი მეცნიერნი, მწერალნი, ხელოვანნი, სპორტსმენნი, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწენი.

12 საათი. ლავრის ქვედა ტერასა.

ნაღარების გრიალი საზოგადოებას ამცნობს ყველაზე საზეიმო წუთების დადგომას.

ნაღარა მიწყდა.

წუთია, ჩვენულ, ორასწლოვან სიჩუმესა და მდუმარებას დაუბრუნდა დავითგარეჯი.

სიტყვას იწყებს მედეა მეზვრიშვილი.

დასაწყისშივე ხმა აუთრთოლდა.

„არ დაგავიწყდეს ვისი გორისა ხარ, შენი წინაპარი ინდოეთს იბრძოდა, შენ კი რას სჩადი!..“ იყო უხმო ხმა „მეორე მედეასი“.

„ეჯე ჩვენი სიმტკიცით ლაპარაკობდა მეზვრეანთ ქალი; ლაპარაკობდა — როგორი იყო „სიტყვა პირველი“ დავითგარეჯის დადარჩენისა და აღდგინებისა, როგორი იყო „სიტყვა მეორე“, როგორი იყო „სიტყვა უმაღლესი“, ანუ „იქმენინ საქმე“ და... „იქმნა საქმე!“...

დღეს ცხადდება და აი, ამ წუთიდან არსებობას იწყებს გარეჯის სახალხო უნივერსიტეტი, ღირსეული მემკვიდრე და გამგრძელებელი მრავალსაუკუნოვანი გარეჯული ლიტერატურული, ფილოსოფიური, მეცნიერული და სახელოვნებო მემკვიდრეობისა.

დღეს ცხადდება და ამიერიდან ყოველ წლიურად მაისის თვის მეორე კვირას გაიმართება სახალხო დღესასწაული „გარეჯობა!“

„მომილოცნია, ძვირფასო თანამემამულენო, დიდი ქართული კულტურული კერის, დავითგარეჯის აღდგენა და აღორძინება!“.

აღდგომა უდაბნოისა

გარეჯის მრავალმთის კულტურული ცხოვრების მასაზრდოებელ და მაარსებელ ნივთიერ დერეტად გააზრებულია სოფელი უდაბნო. ასე იყო ისტორიულადაც — უდაბნოს სამეურნეო ორგანიზაცია ასაზრდოებდა გარეჯის კულტურული სამყაროს შემოქმედ საზოგადოებას. ხოლო, ჩვენს თანადროულობაში უდაბნოს ეკონომიური პროტენციალი, გარეჯ-საგარეჯოს გარდა, გამიზნულია თბილისისა და რუსთავის მკვებავ ძალთა ერთ-ერთ მძლავრ ძარღვად.

მამ, 1975 წლის ივნისიდან უდაბნო საგარეჯოს დაუბრუნდა, გაპარტახებული, დაქცეული და დაშრეტილი.

ჩვიდმეტი დაკნინებული ოჯახი შემორჩენოდა იავარქმნილ სოფელს — ორი ქართული, ორი რუსული, ორი ქურთული და თერთმეტი აზერბაიჯანული.

უდაბნოს მეეხვარეობის საბჭოთა მეურნეობა — ასეთი ტიტული მოინათლა ცხოვრების სისასტიკით გათელილი უძღები შვილივით მშობლიურ რაიონში დაბრუნებული სოფელი — ნასოფლარი (კაცი-ნაკაცარივით).

მეურნეობის დირექტორად, მედეა მეზვრიშვილის წინადადებით, დაინიშნა ვახტანგ ხარაშვილი, ნიჭიერი ზოოტექნიკოსი, დიდად გამოცდილი, დაკვირვებული მეურნე და გულმხურვალე მამულიშვილი.

„გაბარებთ მეურნეობას, იმას ნიშნავს, რომ გაბაჯრებთ მთელი რაიონის მიწათა ფონდის მეოთხედს“, — უთხრა მედეამ ვახტანგს.

ასედაც იყო. უდაბნოს მეურნეობაში ერთბაშად ექცეოდა ორმოცი ათასი ჰექტარი მიწა.

„და ეს კიდევ არ არის ყველაფერი. შენს მეურნეობას გადმოეცემა ცხვარი მთლიანი სულადობით რაიონის ყოველი საბჭოთა მეურნეობიდან“, — დაასრულა მედეამ.

დიახაც დიდი პატივი იყო ეგზომ ვრცელი „სამფლობელო მიწებისა“ და რიცხვმრავალი „ხვასტაგის“ ჩაბარება, მაგრამ...

„მადლობელი ვარ, მაგრამ მიწაც მკვდარი რომ არის და სოფლიც დამხობილი?“ — კრძალულად იკითხა ვახტანგ ხარაშვილმა.

„ფიქრი ნუ გაქვს, მთელი რაიონი შენთან იქნება. შენ ოღონდ ჩვენი დევიზი არ დაგავიწყდეს: ქუდზე კაცი!“.

ვახტანგ ხარაშვილს სწამდა მედეა მეზვრიშვილისა, სწამდა საკუთარი სიმტკიცისა, სწამდა ადამიანებისა და შეუდგა საქმეს.

თვითონ მოგვითხრობს „სარქალი“ (ასე ეძახის იგი თავის თავს): „სიცოცხლე უდაბნოში ფაქტიურად ჩამკვდარი იყო. მუშაობის წარმართვა მეტად მძიმე შეიქნა. სასწრაფოდ მივიღეთ არსებული უძრავ-მოძრავი ქონება, — რაც დატაცებასა და გაცამტვერებას გადარჩენოდა, — მცირე ნაწილი ტრანსპორტისა, და დავიწყეთ მუშაობა. ის წელიწადი მეტად გვალვიანი გამოდგა, არ კმარობდა ტექნიკა, არ კმარობდა კადრები; გვალვა კი გვწვავდა და გვხრაკავდა. მწვავედ განვიცდიდით ბინების უქონლობას. ძლივ-ძლივობით შევაკეთეთ კანტორა, ერთი ოთახი, რომელშიც მე და ჩემი სპეციალისტები კიდევაც ვმუშაობდით და ღამესაც იქ ვათევდით. ასეთ პირობებში მეტად სარისკო იყო ამდენი ცხვრის მოყვანა. მაგრამ იყო დიდი იმედი თბილისში — ედუარდ შევარდნაძისა და საგარეჯოში — მედეა მეზვრიშვილისა. ასე და ამგვარად მივიღეთ რაიონის საბჭოთა მეურნეობების ცხვრის მთლიანი სულადობა. მეურნეობის საზღვრებიც გადავმიჯნეთ. ზამთარი გვემუქრებოდა და ჩვენც ვჩქარობდით. მედეა მეზვრიშვილი და რაიკომის ბიუროს წევრები არ გვშორდებოდნენ. სასწრაფოდ გავარემონტეთ ბინები. გადავზიდეთ ორი ათასი ტონა საკვები. რაიკომის მდივანი ბიუროზე, თუ პირადი დავალებით — უმკაცრესი კონტროლით ავალებდა და ამოწმებდა ორგანიზაციებსა და ცალკე ხელმძღვანელებს უდაბნოსათვის კონკრეტული და ოპერატიული დახმარების მიმდინარეობას. 68 ათასი სული ცხვარი დავაბინავეთ, საკვებიც შევზიდეთ და თითქოს საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ უცებ, 1976 წლის 7 თებერვალს“...

7 თებერვალს თოვლი ჩამოყარა, სიმაღლითა ნახევარი მეტრი. თოვლს საშინლად ცივი, ძვალთა მსხვრეველი ქარები მოჰყვა. ყინვამ და ნამქერმა სინათლე დაუშრიტა და კრიჭა შეუკრა უდაბნოს. ყველა გზა ჩაიკეტა, ელექტრო ხაზები დაწყდა და დაიფანტა.

მედეა მეზვრიშვილი საგარეჯოში არ იყო მაშინ. თათბირს ეს წერებოდა ცენტრალურ კომიტეტში. ნათათბირევს შეატყობინეს, ძალზე დიდი თოვლი მოვიდა და უდაბნოსკენ გზის გასაჭრელად დედაქალაქიდან სამხედრო ნაწილი გამოვიძახეთო.

„სამხედრო ნაწილიო? — იკივლა მეზვრიშვილის ქალმა, — ვინ გირჩიათ და ვინ გივაზირათ მაგნაირი სიბრძნე? ომი დაიწყო თუ აჯანყება? თოვლი მოსულა და თოვლი ისეთი რა უნდა იყოს, თუ კაცმა ხელი გააქანა, არ გაიკვეთოს? ახლავე ეგ კოჭწია მაკასინები გაიძრეთ, ჩექმები ჩაიცვიათ და ისე დამხვდით, მე მოვდივარ, ნახევარ საათში რაიკომის წინ ქუდზე კაცი დამახვედრეთ! ასე არ იქნება და, ვაი ხეს და ვაი ქვას!“...

დახვდა ხალხი, „ქუდზე კაცი“, რაიკომის მდივანს, გაუძღვა და დაიძრა სამხრეთისაკენ.

„უდაბნოური ლაშქრობის“ სახელით დარჩა ეს ამბავი რაიონის ცხოვრების მატიანეში.

თორმეტი ტრაქტორით და ასი ბულდოზერით მიარღვევდნენ თოვლს. მეწინავე ტრაქტორზე თვითონ იჯდა მედეა მეზვრიშვილი. სამი დღეღამე შეუჩერებლივ ებრძოდნენ თოვლსა და ქარბუქს. აღმასკომის თავმჯდომარეს, რობერტ ურჯუმელაშვილს, ყინვამ თითები აუშალა და ყველი ხელიდან გაეგდებინა. აიღო გვარდნილი ლუკმა მედეა მეზვრიშვილმა და საკუთარი ხელით აჭამა გათოშილ თანამებრძოლს...

უდაბნოს ჩაალწიეს.

ორი კვირის მანძილზე მუხლი არავის ჩაეკრფინა მედიკომ. უდაბნოსკენ მიმავალი ყოველი გზა გაირღვა და გაიწმინდა. სურსათსანოვაგე უხვად შემოვიდა და გამარაგდა. აღსდგა ელექტროენერგიისა და კავშირგაბმულობის ხაზები. აღსდგა თოვლისგან ჩახლეწილი სახლები და შრამელები. დაწესდა მორიგეობა ბიუროს წევრებისა სოფლის საზრუნავთა სახელმძღვანელოდ და სამეთვალყურეოდ. თქვენ ჩემი სამხედრო საბჭოს წევრები ხართ, ფრონტზე საგანგებო რწმენებებით მივლინებულნიო, — ეხუმრებოდა მათ მედეა მეზვრიშვილი.

„მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებული იყო მორიგეობა, არ ყოფილა არცერთი დღე, პირველი მდივანი რომ თვითონ არ ჩამოსულიყო და თავისი თვალით არ შეემოწმებინა მდგომარეობა“, — იგონებს ისევ ვახტანგ ხარაშვილი...

სტიქიასთან მოგებული „ომის“ შემდეგ ადრე გაზაფხულზე ისევ შემოუძღვა უდაბნოში ედუარდ შევარდნაძეს და ჯუმბერ პატიაშვილს მედეა მეზვრიშვილი.

და — გაბსჯა სამი — „უდაბნოური პრობლემისა“.

დასახლება,
განაშენიანება,
გასარწყავება...

წინასწარ ფინური სახლები დაიდგა უდაბნოში — პირველად ცხრა, მეორედ ოცდათოხმეტი.

ყოველ ახლად დასახლებულ ოჯახს მედეა მეზვრიშვილმა „შეფად“, „მზრუნველად“, „პატრონად“ მიუჩინა ცალკე რომელიმე საწარმო-სამეურნეო ორგანიზაცია. ყველაფერი ისე მოუწყვეთ და მოუთავეთ, რომ თვითონ ახალმოსახლეებს ნემსზე ძაფის აგების მეტი არაფერი დასჭირდეთო, — თხოვდა მედეა მეზვრიშვილი ყოველ შეფს.

ნასამ სახლი დაიდგმებოდეს და გაიწყობოდეს, მანამდე მაინც თონე დადგით და გამართეთ, ოჯახის დედამ რომ თავის ხელით პირველი პური ჩააკრას და ქვეყანას პურით და ცეცხლით ამცნოს ქართული ოჯახის დაფუძნებაო, — ესეც მედიკოს შეუვალი მოთხოვნა იყო.

უკვე ბევრ ქართულ ოჯახს მოესურვებინა უდაბნოში გადასახლება. დადგა რიგი. დღეისათვის სამასზე მეტი ოჯახი ელოდება „უდაბნოელობას“.

უდაბნოში მიღების პირობები ყველასათვის ერთნაირია, საქართველოს ყველა კუთხიდან წამოსული მსურველისათვის, ოღონდ სამხრეთ საქართველოდან არავის ღებულობს მედეა მეზვრიშვილი— სამხრეთ საქართველოს ჩვენ თვითონ იქით უნდა ვეხმარებოდეთო.

„თქვენ თვითონ უნდა მიხედოთ იქაურ საქართველოს, რუსთაველის ძირა სამშობლოს, — ეუბნება მედეა მეზვრიშვილი მესხეთიდან მოსულ ქართველს — იქაურ ძმებთან, სომხებთან, უნდა დარჩეთ. ისინიც საქართველოს მოქალაქენი არიან და მარტო ნუ მიატოვებთ. ჭკვიანი ხალხია, მათგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება. ისინი მეფის გენერალმა პასკევიჩმა ჩაასახლა მესხეთში, თურქთაგან შევიწროებულნი. და ჩვენ, დღევანდელმა კომუნისტებმა, მზრუნველობაში, ყურადღებაში, ადამიანურ სითბოში ხომ უნდა ვაჯობოთ მეფის გენერალს“...

უდაბნოს განაშენიანების დაპროექტება ისევ იოსებ ხარატიშვილმა იტვირთა, საქართველოს სოფლის მშენებლობის მინისტრმა.

მალე დაიწყო და აშენდა კიდეც ნაწილი ამ პროექტით გათვალისწინებული სახლებისა. სულ 400 ორსართულიანი სახლი უნდა აშენდეს — სათავსოებით, ეზოებით, შრამელებით, სოფლის შუაგულში, ერთ არქიტექტურულ ანსამბლოვანში თავს მოიყრიან სასოფლო საბჭო, მეურნეობის კანტორა, სკოლა, ფოსტა, ბიბლიოთეკა, ამბულატორია, სპორტული ბაღი, კულტურის სახლი.

* * *

მთავარი და გადამწყვეტი მაინც გასარწყავება იყო, ათასწლოვნით უწყლო, ურწყული და უნაყოფოდ გაბერწებული მიწებისა.

წარმოადგინეთ პროექტიო, — ითქვა რესპუბლიკური ხელმძღვანელობის მიერ.

პროექტის შედგენის საერთო ხელმძღვანელობა ეთხოვა „სახმშენის“ თავმჯდომარის მოადგილეს თინათინ ქუთათელაძეს.

პირველსახე პროექტისა ითვალისწინებდა სამი ათასი ჰექტარის გასარწყავებას.

სამი ათასიო?! — გაუკვირდა პირველ-მდივანს

„გაასამკეცეთ!“ — მოკვეთა მოკლედ...

მაშ, ცხრა ათასი! — წამოვიდა თინა ქუთათელაძე გამხნევებული და განმტკიცებული და მაშინვე ტელეფონს ეცა:

„გიხაროდეს, მედიკო მეზვრიშვილო, როგორც ყოველთვის, ახლაც ყველაფერი შენი მასშტაბებით მიდის!.. ცხრა ათასი! ცხრა ათასი!.. ცხრა ათასჯერ მომილოცნია!“.

„მადლობელი ვარ, მადლობელი!“ — იყო პასუხი, მდელვარე და ცრემლშენაზვი...

დაიწყო და აიწყო ახალი პროექტი, „საქწყალპროექტის“ ინსტიტუტის მეცნიერულ-ტექნიკური ძალებით, დიდი ენთუზიაზმით, გატაცებით, პატრიოტული გზნებით.

უდაბნოს გასარწყავება ერთ განტოტებად ჩაერთო საერთო წყალგაყვანილობათა გრანდიოზულ კომპლექსში. მთავარი [illegible] რუსთავის მაგისტრალური არხი, სიგრძით 8 კილომეტრი, სიგანით 5 მეტრი, სიმაღლით 4 მეტრი. შემდეგ — ახალი ხიდი — კაშხალი, სიგრძით 150 მეტრი, სიგანით 27 მეტრი, და ბოლოს, ამ ჰიდროკომპლექსიდან წყლის გადაქაჩვა უდაბნოსკენ 12 კილომეტრის გადასარბენით.

ტაბაგრიდან მთავარ, მაგისტრალურ არხში შედის 25 კუბური მეტრი წყალი: აქედან 4,8 კუბური მეტრი გამოიყოფა და გაეკვანძება უდაბნოსაკენ, ცხრა ათასი ჰექტარი მშიერი მიწის მოსარწყავად.

სულ, მთლიანი კომპლექსი ჯდება 49 მილიონი მანეთი.

მისი განხორციელება შესაძლებელი ხდება დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა ფინანსური წილობრივობით.

წყალთა მეურნეობის სამინისტრო — 16 მლნ.

ენერგეტიკის სამინისტრო — 15 მლნ. 400 ათასი.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 6 მლნ. 200 ათასი.

ქიმიური მრეწველობის სამინისტრო — 4 მლნ. 600 ათასი.

საქნავი — 4 მლნ.

კომუნალურ მშენებლობათა სამინისტრო — 2 მლნ. 500 ათასი.

ყოველი პროექტული განაზრახის ხორცშესხმის გზაზე არის კიდევ მთავარი, ორსახელიანი საფეხური — „გატანა-დამტკიცება“.

„როგორ მიდის საქმე?“ გამუდმებით რეკავდა ზარი თინათინ ქუთათელაძესთან.

ეს ჯუმბერ პატიაშვილი იყო, ამ დიდი წამოწყების მთავარი შეფი.

საქმე კი ყოველთვის „სათანადო სიმაღლეზე“ ვერ მიდიოდა....

თუ თავდაპირველად ყოველთვის „ნდობის ვოტუმით“ ვერ ეპყრობოდნენ მტკვრის კალაპოტში „ნოვატორულ წყლის მღვრევას“, ბოლოს მაინც რუსმა და აზერბაიჯანელმა მოღვაწეებმა იტვირთეს ქართველი კოლეგების ჰიდრო-ნაზრევთა „გატანა-დამტკიცება“ — ალექსანდრე ბარავიომ (საკავშირო სახმშენის თავმჯდომარის მოადგილე) და ფოლად ფოლად-ზადემ (საკავშირო წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილე).

მაშ, პროექტი დამტკიცდა და ძალაში შევიდა.

ეს დიდი გამარჯვება იყო.

ამ რთული ჰიდრო-ტექნიკური კომპლექსის „უდაბნოური შტოის“ პრაქტიკული განხორციელება ასე დაიგეგმა:

მშენებლობის დაწყება — 1980 წელს,

პირველი რიგი, ანუ 3600 ჰექტარის მორწყვა — 1982 წელს,

მთლიანად, 9000 ჰექტარის მორწყვა — 1990 წლამდე.

დაიწყო!..

ქვეყნის გაჩენიდან ნამშიერევი, გაბერწებული მიწის გასარწყავება, გაცოცხლება დაიწყო!

1981 წლის 1 სექტემბერს ახალი სასწაული ეწვია უდაბნოს:

ახალი ეროვნული სამრეკლო, საშუალო სკოლის საზეიმო გახსნა!

წარმოუდგენელია, ჩვეულებრივმა სიტყვამ თუნდაც მიახლოვებით გამოხატოს ამ მოვლენის მნიშვნელობრივი შეფასება.

სკოლა ეროვნული დამკვიდრებისა და ერის მარადიული არსებობის ღვთაებრივი ემანაციაა.

ცნობილი სიტყვა — მარად დაუძინარად სახსოვარი ლოგოსი — „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“— შეიძლება ასევდაც გახმიანდეს ჭეშმარიტი ქართველის მშფოთვარე სულში — „რა სკოლა წახდეს, ერიც დაეცეს“.

* * *

დამდგარიყო წუთი ახალი უდაბნოს ზარის შემოკვრისა. ზარისა — ახალი ქართული სამრეკლოდან...

ხელი მოავლო მედეა მეზვრიშვილმა არჩილ ქურდიანის მაჯას, სკოლის კიბეზე ავიდნენ.

ზარის სახელო ჩამოსწია ქალმა და ჩაუდო მარჯვენა ხელში ღვაწლმოსილ და ასაკმოსილ მამულიშვილს.

ნაჯაფარი ხელი დაიქნია ქურდიანმა.

დაიგრიალა ზარმა.

და ისევ, ასეულ წელთა ჟამსათვალავზე, დაერისხა დავით გარეჯის ნაწამებ მიწას:

„სა-ქარ-თვე-ლო-ო-ო-ო-ო-ო“...
„სა-ქარ-თვე-ლო-ო-ო-ო-ო-ო“...
„სა-ქარ-თვე-ლო-ო-ო-ო-ო-ო“...

იქმენინ წყალი!

1981 წელი, ნოემბრის 8, კვირა დღე.

დღე ზესასწაულისა — უდაბნოში წყალი მოვიდა!

წყალი მოვიდა უწყლო და ადრე ეგზომ უწყალო მიწაზე!

. . . . . .

მტკვარი მოვიდა!

საქართველოს დიდმა მდინარემ მარცხნივ მკლავი გამოიმკლავა, დავით გარეჯისკენ განიმკვლევა და გაალმასებითი წარემართა მარად ურწყულის დასარწყულებლად, მარად უნაყოფოს გასანოყიერებლად, მარად ბერწისა და უზვის საზევად.

აუარებელი ხალხი მიაწყდა „პირველი წყალის“ სახილველს— უდაბნოელნი და უდაბნოელთა სტუმარნი. ყველა მოსულიყო, ვინაც კი ყური მოეკრა. ყველას უნდოდა თავისი თვალით ენახა, ხელითაც შეხებოდა და დარწმუნებულიყო, რომ ეს მართლა წყალი იყო — უწყლო და უწყალო მიწაზე მოსული წყალი.

. . . . . .

მოჰქროდა წყალი უწყლო და უწყალო მიწის სარწყულებლად, საძღებლად, სანაყოფიეროდ, საზევად.

ერთ, მძლავრ ნაერთად მოჰქროდნენ წყალნი ქართული მდინარეებისა ფარავანისა, ურავლისა, ქვაბლიანისა, გუჯარეთისა, ფრონისა, ლიახვისა, მეჯუდისა, ლეხურისა, თეძამისა, ქსანისა, არაგვისა, — ყველას ერთად რომ ერქვა — მტკვარი, საქართველოს დიდი მდინარე.

. . . . . .

იდგა 1981 წელი.
უდაბნოში წყალი მოვიდა!..

მემკვიდრეობის დამცველი

„კომუნისტის“ 1933 წლის 14 სექტემბრის ნომერში ეკითხულობთ: „დღეს იხსნება მწერალთა მუზეუმი თბილისში“. ასე დაიწყო ისტორია იმ მუზეუმისა, რომელსაც ამჟამად საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი ეწოდება.

მუზეუმის გახსნას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. მთელი ამ მუშაობის წარმართვის მიზნით მწერალთა მუზეუმის დირექტორად ჯერ კიდევ 1931 წლის 22 მარტს დაინიშნა მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა გიორგი ლეონიძე.

მუზეუმის გახსნის მეორე დღესვე ახლად დანიშნულმა დირექტორმა „სალიტერატურო გაზეთის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც აღნიშნავდა: „მთაწმინდის“ მწერალთა მუზეუმი პირველი ლიტერატურული მუზეუმია საქართველოში, რომელიც პოლიტიკურ იარაღად უნდა გადაიქცეს მშრომელი მასების აღზრდის საქმეში. მისი მიზანია დაიცვას და შთამომავლობას შეუნახოს მემკვიდრეობა იმ მწერალ-მოღვაწეთა, რომელნიც მთაწმინდაში არიან დასაფლავებულნი (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დიმიტრი უიფიანი, დავით კლდიაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ვასო აბაშიძე და სხვ., აგრეთვე რუსი მწერალი ალ. გრიბოედოვი).

მუზეუმის ოფიციალური გახსნისათვის საჭირო იყო მთაწმინდაზე დაკრძალულ მწერალთა მოღვაწეობის ამსახველი საგამოფენო და სამუზეუმო მასალების შეკრება-შეგროვება, სათანადოდ შესწავლა-დამუშავება და შემდეგ მთელი ამ მასალების სამზეოზე გამოტანა.

გიორგი ლეონიძემ ამ საქმეს დიდი ენთუზიაზმით მოჰკიდა ხელი. მას არ დაუტოვებია თბილისში არც ერთი ძველი ოჯახი, სადაც კი ეგულებოდა მწერალთა ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი სამუზეუმო ექსპონატები: ხელნაწერები, მემორიალური ნივთები, იკონოგრაფიული ძეგლები, ფოტოდოკუმენტები, საარქივო კოლექციები, ეპისტოლარული მასალები და სხვა მნიშვნელოვანი სამუზეუმო ფასეულობანი, რომელთა უმეტესი ნაწილი უსასყიდლოდ — შემოწირულების სახით შესძინა მუზეუმს და გაამდიდრა მისი ფონდი, მაგრამ ეს მასალები მუზეუმის განსნისათვის მაინც არ კმაროდა. ამიტომ გ. ლეონიძემ დამატებით მოიძია საინტერესო სამუზეუმო ექსპონატები საქართველოს რაიონებსა და დაბა-ქალაქებში;

მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებით გ. ლეონიძე წერდა: „მუზეუმის მუშაკთა თანსნობითა და მონაწილეობით ჩამოტანილი იქნა სოფ. ჩარგლიდან ვაჟა-ფშაველას ნაწერები (ავტოგრაფები), ფოტოსურათები, პირადი სახმარი ნივთები (ფარი, ხანჯალი, საწერ-ქალამი, სათუთუნე და სხვ.). ვაჟას კოლექციაში განსაკუთრებით საყურადღებოა მისი მინაური ცხოვრების აღმნიშვნელი ფოტოსურათები და მისი პირველი პერიოდის (1880-1883 წ. წ.)) შემოქმედების ნიმუშები“.

შედარებით უფრო ვრცელი მასალები მოეპოვება მუზეუმს ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ.

ძალზე საყურადღებოა დავით კლდიაშვილისა და ნიკო ნიკოლაძის პირადი არქივები. პირველი წარმოდგენილია ფოტოსურათებით და მხატვრული ნაწერების ავტოგრაფებით, მეორე — ჯერჯერობით მხოლოდ ფოტოსურათებით.

ზემოთაღნიშნულ მწერალთა გარდა, მუზეუმის კოლექციებში ინახება გიორგი წერეთლის, ივანე მაჩაბლის ნაშრომები, წიგნები, სურათები; დიმიტრი უიფიანის საოჯახო მიმოწერა, რაც ნათელ წარმოდგენას იძლევა XIX საუკუნის საქართველოს კულტურული საალმფრთხილო ადგილებისა და ეროვნული ფასეულობანი, ეროვნული ენა, ეროვნული ფერწერა, ეროვნული ხელოვნება, ეროვნული ფეოდალური ყოფა, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ფეოდალური ურთიერთობა, ეროვნული ეკლესია, ეროვნული ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ...